მომხს: ფ. ყუშიტაშვილი

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ სექტემბერი 2022 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №09 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ“.

2. განკარგულების დანართი „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამა“ ჩამოყალიბდეს თანდართული ფორმით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ მთვარელიშვილი**

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ - ახალგაზრდული პროგრამა

№	დასახელება	აღწერა	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	სპორტული ღონისძიებების/ინიციატივების განხორციელება და მხარდაჭერა	თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით „იცხოვრე სპორტით“ ოლიმპიადა ახალგაზრდებს შორის ჩატარდება ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მოხდება სხვადასხვა სპორტული ინიციატივების დაფინანსება	წლის განმავლობაში	15000
2	რა? სად? როდის?	პროექტი ატარებს საგანმანათლებლო-შემეცნებით ხასიათს და ტარდება თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლის მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს შორის	წლის განმავლობაში	6500
3	სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	ოლიმპიადა ტარდება საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნულ ფედერაციასთან ერთად სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში თელავის მუნიციპალიტეტში შემავალი საჯარო სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით სპორტის სხვადასხვა სახეობებში და ემსახურება მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას	წლის განმავლობაში	10500
4	ახალგაზრდული პროექტები/ინიციატივები	სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა/განხორციელება	წლის განმავლობაში	25000
		მოეწყობა რამდენიმე საგანმანათლებლო-წამახალისებელი ხასიათის		

5	ახალგაზრდული ბანაკი	ექსკურსია-ბანაკი, როგორც თელავის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სოციალურად დაუცველი სკოლის მოსწავლეებისათვის, ასევე წარმატებული ახალგაზრდებისათვის	ივნისი - ივლისი	45000
6	სამაგიდო თამაშების კლუბი	კლუბის დაფინანსება მიზნად ისახავს სამაგიდო თამაშების შესწავლისა და შემეცნებით-კრეატიული, სტრატეგიული აზროვნების გავრცელების ხელშეწყობას თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში	წლის განმავლობაში	11000
7	ახალგაზრდული საახალწლო შეხვედრა	შემაჯამებელი ღონისძიება, სადაც მოხდება წლის განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება	დეკემბერი	5000
	ჯამური თანხა			**118 000**